ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N8

ქ.თბილისი 26 დეკემბერი, 2017 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე	თემურ გორგაძე
ლევან დავითაშვილი	ოთარ გრიგოლია
მარინა დათუკიშვილი	ბექა დავითულიანი
გიორგი დოხტურიშვილი	ლევან დარახველიძე
ირაკლი ზარქუა	ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ფრიდონ ინჯია	გოჩა თევდორაძე
ერეკლე კუხიანიძე	თევდორე ისაკაძე
ნინო ლაცაბიძე	ანა ლაშხი
ქეთევან მამულაშვილი	ლილე ლიპარტელიანი
ირაკლი ნადირაძე	გიორგი მუსხელიშვილი
შალვა ოგბაიძე	თინათინ ნიბლოშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	ელენე ოზაშვილი
დათო რურუა	დათო ჟღენტი
თამარ ტალიაშვილი	რევაზ სოხაძე
ვახტანგ შაქარიშვილი	დავით უთმელიძე
გიორგი ჩაკვეტაძე	ავთანდილ ცინცაძე
ვლადიმერ ძნელაძე	დავით ჭელიძე
ლევან ხაბეიშვილი	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ არსებული ინფორმაციით, გენ.გეგმის ხუთი ეტაპი დასრულებულია და დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა მეექვსე ეტაპთან დაკავშირებით და როდის დასრულდება მუშაობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ როგორც გაირკვა, გენ.გეგმას აქვე გარკვეული ხარვეზები, რის გამოც დაწუნებული იქნა და მასზე მომუშავე ჯგუფი დააჯარიმეს, რაც ბადებს ეჭვს, რომ ეს ადამიანები შეიძლება მოიხსნან კონტრაქტიდან და განაცხადა, რომ კითხვაზე თუ რატომ არ მტკიცდება გენ.გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ მაისში უნდა დამტკიცებულიყო, პასუხი არის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილება, სადაც გაზრდილია შემოსავალი კოეფიციენტის გაყიდვიდან. ირაკლი ნადირაძემ სხდომაზე წარადგინა დოკუმენტი, რომელშიც ასახულია თუ როგორ იზრდება ყოველწლიურად კ2 კოეფიციენტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და განაცხადა, რომ გენ.გეგმის მიუღებლობის შემთხვევაში, გაგრძელდება „მავნებლური მშენებლობები", დღითი დღე გამწვავდება ეს პრობლემა და ამიტომ საჭიროა კონკრეტული ქმედებები, რომლებიც დაასრულებს თბილისში კოეფიციენტების გაყიდვის პრაქტიკას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ გენ.გეგმის მიღება დედაქალაქს ისე სჭირდება, როგორც არასდროს, თუმცა, ის უნდა იყოს სამართლებრივად გამართული, სწორი კონცეფციით და სტრატეგიით შემუშავებული. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ წარდგენილი შენიშვნებში აღნიშნულია, რომ მასში არ არის გათვალისწინებული სატრანსპორტო კონცეფცია და შესაბამისად, გენ.გეგმის ნაჩქარევად მიღებას, ჯობს დავკარგოთ კიდევ ცოტა დრო და მივიღოთ გამართული გენ.გეგმა. რაც შეეხება ბიუჯეტში წარმოდგენილ კ2 კოეფიციენტის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, აღნიშნა, რომ ეს არის წინა წლებში გაყიდული კოეფიციენტებიდან მისაღები მოსაკრებელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ თბილისისთვის გენ.გეგმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, თუმცა ის უნდა იყოს დახვეწილი და სრულყოფილი. მან ისაუბრა ირაკლი ნადირაძის მიერ სხდომაზე წარდგენილ დოკუმენტზე, სადაც ნაჩვენებია კ2 კოეფიციენტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შესრულება 2010 წლიდან 2017 წლამდე და აღნიშნა, რომ დოკუმენტი მეტყველებს სამ რამეზე:

1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მესიჯი", რომელიც მუდმივად ისმოდა წინა არჩევნებზე, თითქოს შეჩერდა შენება, არის ტყუილი, რადგან ჩანს, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის შემდგომ პერიოდში მშენებლობის „ბუმი" იყო.

2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის დროს ვერ სრულდებოდა გეგმები, რომლებიც ეხლა გადაჭარბებით სრულდება.

3. ნამდვილად საჭირო იყო მორატორიუმის გამოცხადება, რადგან „სამშენებლო ბუმის ფონზე, აუცილებელი იყო ბაზრის დარეგულირება".

ბექა დავითულიანის თქმით, მორატორიუმს, რომელიც შედგა 2016 წელს, აქვს პრობლემები, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ის ეხებოდა მხოლოდ გარეუბნებს, მშენებლობები გადაჭარბებული კოეფიციენტით, ცენტრალურ უბნებშიც მიმდინარეობდა. იმისთვის, რომ ბოლომდე დაიხვეწოს აღნიშნული პროცესი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა და კარგი იქნება ამ პროცესში ოპოზიციის და ხელისუფლების წარმომადგენლების თანამშრომლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია მშენებლობა, რაც თავისთავად, გულისხმობს უფრო მეტ ინვესტიციას, მეტ დასაქმებულ ადამიანს და უზრუნველყოფილ ოჯახს. მისი თქმით, ამ კუთხით არის გარკვეული პრობლემები და არქიტექტურის სამსახურის მიმართულებით დაწყებული რეფორმა, სწორედ არსებული პრობლემების მოგვარებისკენ გადადგმული ნაბიჯია. მისი თქმით, არქიტექტურის სამსახურს გენ.გეგმის ჯგუფისთვის რომ არ გაეგზავნა ხარვეზები, გამოიწვევდა იმას, რომ მათთან გვექნებოდა ანალოგიური შენიშვნები და გენ.გემაში განსახორციელებელი იქნებოდა ცვლილებები. შესაბამისად, ჯობს მივიღოთ სრულყოფილი და დახვეწილი დოკუმენტი, რომელშიც საჭირო აღარ იქნება ცვლილებების შეტანა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ფაქტია, გენ.გეგმაზე მუშაობა ჭიანურდება და კოეფიციენტები იზრდება, ხოლო კოლეგების მიერ ნახსენებ „მშენებლობის ბუმს", თუ 200 კვ.მ.-ზე ცხრასართულიანი კორპუსის და სპორტის აკადემიასთან ოცსართულიანი შენობის აშენებას ვუწოდებთ, სადაც კოეფიციენტი მოემატა „ქართული ოცნების" ლიდერებისთვის, მაშინ ნამდვილად არის „მშენებლობის ბუმი". მისი თქმით, მშენებლობები უნდა მიმდინარეობდეს, თუმცა არა ქაოტურად, არამედ კოეფიციენტის ფარგლებში. აქვე, ისაუბრა ზონალურ საბჭოზე და განაცხადა, რომ „დიდი ფუნქცია" არასდროს ჰქონია, რადგან დედაქალაქის მთავრობას წინააღმდეგობას ვერ უწევდა, ხოლო ეხლა, ის ფორმალური დატვირთვაც აღარ აქვს და კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირები თავად გადაწყვეტენ სად და როგორ უნდა გაიზარდოს კოეფიციენტი. ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა საუბარი იმაზე, თითქოს მხოლოდ წინა ხელისუფლების დროს გაიცემოდა მაღალსართულიანი შენობების მშენებლობის ნებართვები, რადგან ირაკლი ნადირაძის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში წლების მიხედვით არის წარმოდგენილი მშენებლობებზე გაცემული ნებართვები, რომელთა უმრავლესობა სწორედ 2014 წლის შემდეგი პერიოდითაა დათარიღებული და მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს „მიუდექით პასუხისმგებლობით იმიტომ, რომ აბსოლუტურად ყველას, ვინც წარმოადგენთ ქართული ოცნების დეპუტაციას, იქნებით პასუხიმგებელი იმ ქაოსურ მშენებლობებზე და სიმახინჯეებზე, რაც დღეს მიმდინარეობს".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერის და „ქართული ოცნების" წარმომადგენლების წინასაარჩევნო დაპირებაა ქაოტური მშენებლობების შეჩერება, რისთვისაც ყველაფერი გაკეთდება და ეს კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება დროთა განმავლობაში. რაც შეეხება უკვე გაცემულ ნებართვებს, რა თქმა უნდა, 2014 წლის შემდგომ პერიოდშიც იქნა გაცემული, თუმცა 2016 წლის მაისის შემდეგ, გარკვეული გამონაკლისების გარდა, რომლებიც ეხება დაუმთავრებელ მშენებლობებს, განაშენიანების რეგულირების გეგმას, გარეუბნებს და სასტუმროს, კ2 კოეფიციენტის მოსაკრებელი ვერ იქნება.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ წლების განმავლობაში, მათ შორის, „ნარმანიას მთავრობის" დროსაც კოეფიციენტის გაცემა ხდებოდა არასწორად და ეს ძირითადად ხდებოდა იმ კომისიების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლებიც დღევანდელმა ადმინისტრაციამ გააუქმა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ერთიანი ახალი კონცეფციის შემუშავებაზე, რომელიც იქნება მეტად გამჭვირვალე და ქალაქის განვითარების შესაბამისი.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ირაკლი ნადირაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი იწყება 2010 წლიდან, თუმცა გასათვალისწინებელია 2008 წლის მშენებლობებთან დაკავშირებული კრიზისი, რომელიც განახლდა 2015 წელს და რომლის დროსაც 2008 წლამდე დაწყებულ მშენებლობებზე მოხდა კოეფიციენტის ამნისტირება. შესაბამისად, დოკუმენტით წარმოდგენილი ციფრები დიდწილად აქედანაც გამომდინარეობს. მისი თქმით, როდესაც საუბარია პასუხისმგებლობაზე, ზონალური საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ადამიანების

სახელები და გვარები თითქმის არავინ იცოდა, ხოლო დღეს, ყველამ ვიცით მომავალში ქაოტურ განაშენიანებასთან არსებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი პირების სახელები და გვარები.

ლევნ ხაბეიშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ზონალური საბჭო იყო ფორმალური, რადგან მის წევრებს არავინ არასდროს არაფერს ეკითხებოდა და ზეგავლენას ვერ ახდენდნენ დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებებზე, თუმცა ეხლა, ფორმალური დატვირთვაც აღარ ექნება.

ირაკლი ნადირაძის თქმით, ყველამ კარგად იცის, რომ ზონალური საბჭო იყო სარეკომენდაციო ხასიათის, ხოლო გადაწყვეტილებებს, საბოლოო ჯამში, იღებდა დავით ნარმანია და „ქართული ოცნების" უმრავლესობა საკრებულოში და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „შეცდომაში ნუ შეგყავთ საზოგადოება".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარე დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში დაიწყო გენ.გეგმაზე მუშაობა და თბილისის ცენტრალურ უბნებში მოხდა კ2 კოეფიციენტის შეზღუდვა. შესაბამისად, დღევანდელი ხელისუფლება ვერ იქნება ქაოტური მშენებლობების მომხრე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ქალაქის ურბანული განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ტრანსპორტის განვითარების ერთიანი გეგმა, ხოლო ჩვენი დედაქალაქის ურბანული უკუსვლა ტრანსპორტის კუთხით დაიწყო სასტუმრო „აჭარის" წინ არსებული მოედნის გაყიდვით, როდესაც სხვადასხვა ქვეყნები და მუნიციპალიტეტები, სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგების მიზნით, ცდილობენ გააფართოვონ მოედნები. ისაუბრა გმირთა მოედანზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად არქიტექტურული შედევრისა, „ის არის კაპილარები", სადაც ერთი მანაქანის გაჩერებაც კი გამოიწვევს სატრანსპორტო კოლაფსს. მან დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს „შეცდომების გასწორების შემადგენლობა" უწოდა და მიმართა კოლეგებს „თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს - ის, რაც ცუდია, ცუდი დავარქვათ და რაც კარგია, მოვიწონოთ".

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, „მშენებლობის ბუმი" ყოველთვის არ ნიშნავს ქალაქის განვითარებას და სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს დაწყებული დინამიკა, როდესაც „მშენებლობის ბუმი" იწვევს ქალაქის სიკვდილს, ეხლაც მზარდია და თბილისში ცხოვრება ხდება შეუძლებელი. ამ პროცესებს რომ დავუპირისპირდეთ, კ2 კოეფიციენტის გაზრდა უნდა შეიზღუდოს არა მარტო ცენტრალურ, არამედ გარეუბნებშიც და აქედან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტში ზრდის ნაცვლად, უნდა იკლებდეს, ზონალური საბჭო კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს ისე, რომ მას არ ჰქონდეს „იურიდიული ხვრელები", რადგან ისტორიულ ზონაში ერთნაირად მიუღებელი უნდა იყოს როგორც მაღალსართულიანი სახლის მშენებლობა, ასევე მაღალსართულიანი სასტუმროს თუ ბიზნეს-ცენტრის არსებობა. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა მიმართა საკრებულოს წევრებს „უნდა გამოვიდეთ ქალაქის ინტერესებიდან... ვაღიაროთ მინუსები... მინუსები და პლუსები დავინახოთ დინამიკაში... ვიმუშაოთ ერთად... ქალაქი გვაქვს თანამშრომლობით გადასარჩენი".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა მიმართა ირაკლი ზარქუას, რომ „ნარმანიას მთავრობა არ ყოფილა, ეს იყო ქართული ოცნების მთავრობა". განაცხადა, რომ სწორედ ნარმანიამ დაუკვეთა გენ.გეგმა სატრანსპორტო კომპონენტის გარეშე და გენ.გეგმაზე მომუშავე ჯგუფის დაჯარიმება არ არის გამოსავალი, რადგან ამ ჯგუფმა გააკეთა ის, რაც დაუკვეთეს. მან ისაუბრა ვაკის რაიონში, მარუხის გმირების N1-3 პროექტზე, რომელსაც ზონალური საბჭოს რეკომენდაციით, აგვისტოს თვეში, უარი ეთქვა. თუმცა, დღეს საკითხი წარმოდგენილი იყო კომისიის სხდომაზე და მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობა მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას და კ2 კოეფიციენტი გახდება კ5. ლილე ლიპარტელიანმა მიმართა შალვა ოგბაიძეს, როდესაც საუბრობთ სასტუმრო

„აჭარის“ წინ არსებული მოედნის გაყიდვაზე, გაიხსენეთ სულ ახლახანს, პუშკინის სკვერის წინ გაყიდული გზა.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ მის მიერ ნახსენებ ქუჩაზე განიხილება ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება და არა კ2 კოეფიციენტის გაზრდა, ასევე, ამა თუ იმ საკითხის კომისიაზე განხილვა არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად იქნება საკრებულოს სხდომის დღის წესრიგშიც და ეს კონკრეტული საკითხი მიმდინარე სხდომაზე არ განიხილება. რაც შეეხება პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიას აღნიშნა, რომ მისი პირველადი რეგისტრაცია მოხდა 2007 წელს და ის ნაწილი, რომელიც გაიყიდა, არ არის გზა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ სასტუმრო „აჭარის“ წინ არსებული მოედნის და პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის გაყიდვის ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება, რადგან პირველმა შემთხვევამ გამოიწვია სატრანსპორტო კოლაფსი, რომელიც უკვე წლებია გრძელდება და ამ ტერიტორიის გამოსყიდვაში მესაკუთრე კოლოსალურ თანხას ითხოვს, ხოლო მეორე შემთხვევაში, განხორციელდება ასი მილიონი ლარის ინვესტიცია იმისთვის, რომ მოაწყოს ავტოსადგომი და მიმდებარე ტერიტორიაზე განიტვირთოს სატრანსპორტო მოძრაობა.

რევაზ სოხაძე დაეთანხმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მოსაზრებას, რომ ქალაქში არსებული ვითარების მოგვარებაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, აღნიშნა, რომ სწორედ დღეს არსებული პრობლემების მოგვარებას და კოეფიციენტების გაზრდის პროცესის დასრულებას ემსახურება გენ.გეგმის შემუშავებაც და მოუწოდა კოლეგებს - „ერთად ვიზრუნოთ, რომ ქალაქში დამთავრდეს ქაოტური განაშენიანება“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მარინა დათუკიშვილისთვის სასიხარულოა შეთანხმება, რომ თბილისის და თბილისელების კეთილდღეობაზე თითოეულმა მათგანმა უნდა იზრუნოს და კარგი იქნება თუ ქალაქის განვითარების ერთიანი პაკეტი იქნება ისეთი, რომელიც გაამართლებს ასი ათასობით ადამიანის ნდობას. მან დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, ისურვა, რომ 2018 წლიდან იყვნენ უფრო მეტად კონსტრუქციულები, საქმიანები, ქალაქის და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებულები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

თანამომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირინა ჭეიშვილი

თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“.

მომხსენებელი: ლეან ჟორჟოლიანი

თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და განმარტა, რომ მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებში ეკონომიამ ერთობლივად შეადგინა 10632000 ლარი, ამასთანავე ბიუჯეტი, სხვა შემოსავლების ხარჯზე, იზრდება 10284000 ლარით

და ფინანსთა სამინისტროს მიერ, მიწისქვეშა ტრანსპორტის განვითარებისთვის დამატებული 14000000 ლარით, რაც ჯამურად შეადგენს 34000000 ლარს და დეტალურად, ციფრების მითითებით, ისაუბრა აღნიშნული თანხის გადანაწილების მიმართულებაზე, რაოდენობაზე და მიზნობრიობაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა დათო ჟღენტმა აღნიშნა, რომ სოციალური დაცვის ქვეპროგრამაში, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში 700 ბენეფიციარის ნაცლად, წარმოდგენილია 820 ბენეფიციარი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ იქნებიან მომლოდინეები, ხოლო მომსახურების მიმწოდებელი კლინიკის რაოდენობა არის ხუთი და დაინტერესდა, შეძლებენ თუ არა აღნიშნული კლინიკები 2018 წლის იანვრიდან ამ ბავშვების უზრუნველყოფას შესაბამისი მომსახურებით და თუ ვერა, რა არის დაგეგმილი საკითხის მოგვარებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რეგლამენტის შესაბამისად, 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას მივიღებთ 2018 წლის 1 მარტამდე და დაინტერესდა, ამ ეტაპზე, ხომ არ არის შესაძლებელი ვიცოდეთ არის თუ არა ბიუჯეტში ნაშთი, რომელიც შემდგომ დაემატება 2018 წლის ბიუჯეტს.

ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ დათო ჟღენტის მიერ დასმული შეკითხვას პასუხს გასცემს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი, როდესაც სხდომაზე წარადგენს შესაბამის საკითხს, ხოლო რაც შეეხება ირაკლი ნადირაძის შეკითხვას, განაცხადა, რომ დღეს არსებული ინფორმაციით, შესაძლებელია იყოს ძალიან მცირედი თანხა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს წლის ბოლომდე დარჩენილ რამდენიმე დღეში, თუმცა დაზუსტებული ინფორმაცია ექნება მომდევნო წელს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ირაკლი ხმალაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ დღეს მოქმედი რედაქციით, თბილისის მთავრობის შემადგენლობაში შედიან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ახორციელებენ კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციას და მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანაწერი გულისხმობს მხოლოდ შიდა კონტროლს და ზედამხედველობას და არა გარე კონტროლს, რასაც ახორციელებს ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომ შიდა აუდიტისა და კონტროლის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის გარდა, ხომ არ მოიაზრება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსიც. სწორედ ამ კითხვების თავიდან აცილების მიზნით, წარმოდგენილი პროექტით დაზუსტებულია, რომ თბილისის მთავრობის შემადგნელობაში არ შევა მხოლოდ შიდა აუდიტისა და საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი შინაარსობრივად წინა საკითხის იდენტურია, ამ შემთხვევაშიც იგივე დაზუსტება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია თბილისში არსებული ჯიხურებისთვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 3 თვით, 2018 წლის 31 მარტამდე, რის შემდეგაც ახალი კონცეფციით და ხედვით გამოცხადდება აუქციონი. მისი თქმით, 176 ჯიხურზე გრძელდება ხელშეკრულების ვადა და იჯარის ფასი რჩება იგივე, ხოლო ოთხ ჯიხურზე მოხდება ახალი შეფასება და ახალი ხელშეკრელულებების დადება, რადგან ამ შემთხვევაში, ხელშეკრულებებს ვადა აქვს გასული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ყველა ხელშეკრულებას, ერთის გარდა ვადა აქვს გასული და დაინტერესდა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს თუ არა იჯარის ქირის გადახდა მათი მხრიდან, ვისაც უკვე გაუვიდა ხელშეკრულების ვადა.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დანართის შემდეგ, შესულია კიდევ ერთი ცვლილება, რომლის მიხედვითაც ვადა გასული აქვს მხოლოდ ოთხ მოიჯარეს. რაც შეეხება იჯარის ქირის გადახდას განაცხადა, რომ ზოგი მოიჯარე ქირას იხდის ყოველთვიურად, ზოგი სამ თვეში ერთხელ და ზოგი წელიწადში ერთხელ. ის ვინც იჯარის თანხას იხდის ყოველთვიურად, შესაძლებელია მცირედი ვადაგადაცილებით, თუმცა ყველას გადახდილი აქვს, ხოლო ვინც საიჯარი ქირას იხდის სამ თვეში ერთხელ ან წელიწადში ერთხელ, ისინი გადაიხდიან თუ არა, წინასწარი ინფორმაცია არ აქვს, თუმცა თანხის არ გადახდის შემთხვევაში, მათთან ხელშეკრულების ვადის გაგრძელება არ მოხდება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ხელშეკრულებას ვადა გაუგრძელდება თუ მოხდება ახალი ხელშეკრულების გაფორმება, იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის სხდომაზე დავაზუსტეთ,

რომ სამართლებრივ საფუძველში უნდა მიეთითოს დადგენილების მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი, რომელიც გულისხმობს ახალი ხელშეკრულების დადებას და აქედან გამომდინარე, სამართლებრივი პრობლემა არ არსებობს.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე პროექტი წარმოდგენილია იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული რამდენიმე ოჯახის საკითხს განიხილავს სასამართლო და ამიტომ ვერ მოხერხდა მათთვის ანაზღაურების მიცემა. აქედან გამომდინარე, პროექტით წარმოდგენილია ანაზღაურების ვადის გაგრძელება ერთი წლის ვადით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წესები უკავშირდება ორ კატეგორიას: სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. წარმოდგენილი პროექტით, ძირითადად, უცვლელი რჩება არსებული რეგულაციები და განისაზღვრება, თითოეული პროგრამის მიხედვით, როგორ უნდა განხორციელდეს თანხის გადარიცხვა, ბენეფიციარების რეგისტრაცია, მომსახურების პირობები, ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ არსებული რეგულაციით შინმოვლის პროგრამით ფინანსდებოდა 1200 ბენეფიციარი, წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება არაუმეტეს 800 და დაინტერესდა, რამ გამოიწვია რაოდენობის შემცირება.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ ორი წლის სტატისტიკური დაკვირვებით, ამ მომსახურებით არ სარგებლობდა 800-ზე მეტი ბენეფიციარი და ამიტომ, მათი რაოდენობა განისაზღვრა ფაქტიური მაჩვენებლის მიხედვით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის ორ ძირითად პროგრამაში. კერძოდ: დაავადებათა სკრინინგის პროგრამას ემატება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა და 25-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს, ამ დაავადების სკრინინგის განხორციელების მიზნით, საშუალება ექნებათ მიიღონ სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებები; ტრანსპლანტაციის პროგრამას ემატება ღვიძლის ტრანსპლანტაცია, რომლის ფარგლებში, საქართველოში ჩატარებული ოპერაციები დაფინანსდება 60000 ლარის ოდენობით; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში განხორციელდება ყველა მომლოდინეს ფინანსური უზრუნველყოფა და შესაბამისად ლიმიტი 700-დან გაიზრდება 820-მდე. გელა ჩივიაშვილმა უპასუხა დათო ჟღენტის მიერ დასმულ შეკითხვას და აღნიშნა, რომ პროექტით წარმოდგენილ ჩამონათვალში მითითებული არ არის ერთი მომსახურე დაწესებულება და შესაბამისად, მათი რაოდენობა არის ექვსი, რომლებსაც ამ ეტაპზე შეუძლიათ მიიღონ დღეს არსებული ბენეფიციარების რაოდენობის ნახევარზე ცოტა მეტი, თუმცა მათი მხრიდან მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და 2018 წლის პირველ კვარტალში მოგვაწვდიან კიდევ უფრო დაზუსტებულ მონაცემებს, თუ რამდენი ბავშვის მომსახურებას შეძლებენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 3 პოზიცია და სამივე მათგანზე გაცემული აქვთ დადებითი რეკომენდაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ფრაქციების დაფინანსების ლიმიტი რჩება უცვლელი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა მისი ხელახალი დამტკიცება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 7 დადგენილება და 3 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი